№ 91
შაბათი, 27 აპრილი 1896

1877—1896

# ივერია

№ 91
პარასკევი, 27 აპრილი 1896

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომ რი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 30 აპრილს.**

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ
მოულოდნელის გარემოების გამო გადიდო 5 მაისისათვის.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის,
შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში, და კნ. ოლგა თადეოზის ასულს

ჭავჭავაძისას.
(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).

«ივერიის» რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მოწერლებს, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, პირველს მაისამდე კიდევ უნდა წარმოადგინოს ფული, თუ სულ არა, რამდენიმე მაინც.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჟიჟინაძისა და ძ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## შემოწირულება

,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების'' სასარგებლოდ 5 მაისისათვის დანიშნულ ლატარია-ალეგრისათვის შემოსწირეს:

კნ. მარიამ ზაქარიას ასულმა ერისთავისამ შემოსწირა ნახევარი დუჟინი ფინჯანი, სასუხრე და სამი ყვავილების ვაზა; მოწაფე ქალმა ელისაბედ ნათიევისამ თავისი ხელთ საქმე, ნაკერი მუთაქა; გიორგი მიხეილის ძე კალოუბანსკიმ ერთი ყვავილების ვაზა და ერთი ბალიში; ნატალია პეტრეს ასულმა მესხისამ ტუალეტის მოწყობილება; თამარ ჩივაძისამ მოქსოვილი სუფრა და ერთი ჰიქა; სიმონ ჩივაძემ ერთი ფოდნოსი; ბიქტორია ეფრემის ასულმა მარჯანიძისამ ერთი ვერცხლის სამაჯური და სასუხრე; ეკატერინე ახალშენიშვილისამ ნაქსოვი აბრეშუმის სუბუქი თავზე მოსახვევი და ორი ცალი ხელის საპონი; ვარინკა დავითის ასულმა მურალოვისამ ბარათების დასაწყობი, ხელოვნურად გაკეთებული პატარა ეტაჟერი; მელანია სტეფანეს ასულმა შათირიშვილისამ ხელოვნურად ნაკეთები ბარათების დასაწყობი; კნ. თამარა ნიკ. ერისთავისამ მშვენიერი, ხელოვნურად ნაკერი ხელ-სახოცების ჩასაწყობი; ლამფის დასადგმელი, კნ. ელენე ვაჩნაძისამ ორი გიდელა ხელოვნურად ნაკერი; თავ. ნიკო ზურაბ. ჭავჭავაძემ 50 მან.

ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის მოწაფეთაგან:

ორი ფილეთ ნაქსოვი ხელ-სახოცი, ორი ტილოზე ნაკერი ხელ-სახოცი, ერთი პერანგის კოკეტკა, ერთი ბალიშზე გადასაფარებელი, ერთი გარუსით ნაკერი ბალიშის პირი, ერთი ხავერდზე ნაკერი ბალიშის პირი, ერთი პირსახოცი, ერთი წყვილი დანა-ჩანგალი.

კნეინა ნატალია ნიკოლოზის ასულის ბარათოვისაგან ბეჭედი და ბრასლეტი.

დაბა ხონიდგან: ნესტორ წერეთელმა 14 აბრეშუმის ცხვირსახოცი სხვა-და-სხვა ფერისა ადგილობრივი ხელობა.

## ტფილისი, 27 აპრილი.

ვინც ბანკის კრების მეოთხე სხდომას დაესწრო, ან მისი ანგარიში წაიკითხა, უნდა დარწმუნებულიყო, რომ ჩვენ არ ვსცდებოდით, როდესაც ვამტკიცებდით—ჩვენის ბანკის „ოპპოზიცია“ საქმეს არ ემსახურება და უაზრო ბრძოლით მხოლოდ აბრკოლებს კრების შრომასაო. წარმოიდგინეთ, რომ მეოთხე სხდომა კრებამ მოანდომა „ოპპოზიციის“ მეთაურთა მიერ წარმოდგენილ წინადადებას: თავ. ალ. ჩოლოყაშვილი, როგორც ზედამხედველის კომიტეტის წევრი, სცენაზე უნდა იჯდეს თავის ამხანაგებთანო და არა ქვევით, სადაც ბანკის კრების წევრები და დანარჩენი საზოგადოება ზისო. ამ საკითხის შესახებ შეიქნა ერთი დავი-დარაბა და ერთმა „ორატორმა“ ისიც გამოაცხადა, რომ, თუ თავ. ჩოლოყაშვილი სცენაზე არ ავიდა და ზედამხედველ-კომიტეტის წევრებს გვერდს არ მოუჯდაო, მე უწესოებას მოვახდენო და სიტყვას არ ვათქმევინებო. ამ უაზრო საგნის შესახებ ვითომ და ოპპოზიციამ იმდენი ილაპარაკა, იმდენი სასტიკობა და აღელვებული წინააღმდეგობა გამოიჩინა, რომ თავ. ჩოლოყაშვილს სხვა არა დარჩენია-რა—უარი ეთქვა ზედამხედველ-კომიტეტის წევრობაზე, რათა ამით ნება ჰქონოდა სადაც ჰსურდა იქ დამჯდარიყო.

თვით თავ. ალ. ჩოლოყაშვილი და სხვა მისი მომხრენი გაოცებულნი ეუბნებოდნენ მოპირდა-პირეთ: განა სულ ერთი არ არის საქმისათვის სად დაჯდება თავ. ჩოლოყაშვილიო, მაგრამ „ოპპოზიციის“ ორატორებმა ვერ მოისვენეს, სანამდის თავ. ჩოლოყაშვილმა უარი არა თქვა ზედამხედველ კომიტეტის წევრობაზე და მით მიზეზი ლაპარაკისა არ მოესპო.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ, როდესაც ჩვენ „ოპპოზიციის“ შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ სახეში გვყავს ამ დასის მეთაურები და არა უმეტესობა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს უმეტესობა საქმისათვის არის ჩამოსული და არა უაზრო კინკლაობისათვის. ამიტომაც არის სამწუხარო ამგვარი ბრძოლა, რომ მთელი ჩვენი საზოგადოება მას არ თანაუგრძნობს და მიუხედავად ამისა «ოპპოზიციის» წინამძღოლნი ყოველ დღე უფრო და უფრო ამწვავებენ ბრძოლას, უფრო და უფრო ამტკიცებენ, რომ მათ საზოგადო საქმისთვის გული სრულიადაც არ სტკივათ.

შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ ეს შემთხვევა წვრილმანია, რომ მარტო ამ ფაქტით არა ითქმის რაო, მაგრამ გაიხსენეთ ის ფაქტებიც, რომელთ შესახებ ჩვენ გუშინწინდელ ნომერში ვილაპარაკეთ, გაიხსენეთ მრავალი ამგვარი ფაქტი წარსულიდამაც და მაშინ ცხადათ დარწმუნდებით, რომ ამგვარის ფაქტებით მშვენივრად ხასიათდება ის უაზრო ბრძოლა, რომელიც დაუწყია ტფ. ბანკში ეგრედ წოდებულ ოპპოზიციას...

ამ ჟამად ყველა ქაღალდები რევიზიის შესახებ წაკითხულია და კრებამ გულმოდგინედ, დიდის ყურადღებით უნდა განიხილოს მათი ხასიათი და შინაარსი, რათა ნამდვილად გაიგოს, როგორ არის საქმე ჩვენის ბანკისა და სხვა. აქ უმეტესად საჭიროა გულ-დადებული განხილვა და არა უაზრო კინკლაობა და ბავშური ნიშნის მიგება.

ლალი.

## ახალი ამბავი

*** დღეს, შაბათს, ტფილისის სახაზინო თეატრში, ქუთაისის გუბერნიაში და გორის მაზრაში დიდის წყლებისა და თოვლებისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ დროებითი კომიტეტის თაოსნობით წარმოდგენასა ჰმართავენ სცენის მოყვარენი. იმედია ამ წარმოდგენას ტფილისის საზოგადოება ბლომად დაესწრება და მით ცოტათი მაინც დაეხმარება დაზარალებულთ.

*** გუშინ, 26 აპრილს, ტფილისში ჩამოვიდა ბუხარის ემირი, რომელიც აქ ერთ-ორს დღეს დარჩება და შემდეგ მოსკოვში წავა წმ. დაგვირგვინებაზედ დასასწრებლად.

*** უსინათლოთათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილებას შეუმუშავებია პროექტი, რომლითაც თვითოეულმა გუბერნიამ და ოლქმა კავკასიაში უნდა ორ-ორი სტიპენდია დააარსოს ღარიბ და უსინათლო ბავშვთათვის; ამ რიგად სულ 16 სტიპენდია იქნება დაარსებული. სამზრუნველოს ყოველ წლივ მიეცემა კავკასიის საერობო თანხიდამ 4,800 მ., ე. ი. 300 მანეთი თითოეულის სტიპენდიატისათვის. გარდა ამისა განზრახვა აქვთ

## ფელეტონი

### პოლიტიკური პარტიები გერმანიაში.

(გუშინ და დღეს)

შემდეგი *)

ჩვენ არ გვსურს მკითხველს თავი მოვაბეზროთ ნამეტანი ბევრი ამონაწერებით. კმარა ისიც, რაც უკვე ამოვწერეთ. აქ ჩვენ შევკრიბეთ უმთავრესი დედა-აზრები იმ მოღვაწეთა, რომელნიც ცნობილია კონსერვატიულ მოძღვრების მამათ-მთავრად. როგორც დავინახეთ, ყველა ეს მწერლები ერთსა და იმავე ნიადაგზე დგანან, ერთისა და იმავე თვალთა-ხედვის ისარით არიან აღჭურვილნი. რა ნიადაგია ეს?

ფულის მეურნეობამ მამული აამოძრავა და საქონლად გაჰხადა. იმას იმდენი ღირებულება მიეცა, რამდენადაც ფულის წყაროს შეადგენს. მამული ფულად იქცევა, ფული მამულად, მამული ფულს უდრის, ფული მამულს. ერთის სიტყვით, მამული=ფული. რაკი ეს ასე მოხდა, ცხადია მოძრავი არსება უძრავად ვერ დარჩებოდა, ე. ი. მამული მუდამ ერთისა და იმავე პირის ხელში ვერ გაჩერდებოდა. ის ილტვის იქით, საითკენაც ფულია. მეორე მხრით ფული ილტვის იქით, საითკენაც გამოსარჩენი საქმეა. მამულის წარმომადგენელნი მემამულენია, ხოლო მემამულენი აზნაურებია. ფულის წარმომადგენელნი ფულის პატრონებია, ხოლო ფულის პატრონები ბურჟუებია. აზნაურობა საშუალო საუკუნოების შვილია, ის გაჩნდა მაშინ, როცა ფულის მეურნეობა არ იყო. ბურჟუაზია ახალი საუკუნოების შვილია, ის თივისი არსებით განხორციელებული ფულია. აზნაურთა ბატონობა—ეს მამულის, მიწა-ადგილის ბატონობაა. მიწა-ადგილის ბატონობა კი სოფლის ბატონობაა. ბურჟუაზიის ბატონობა ფულის ბატონობაა, ფულის ბატონობა-კი ქალაქის ბატონობაა. ეს ორი სხვა-და-სხვა მიმდინარეობა, სხვა-და-სხვა პრინციპია. ერთი ეკუთვნის წარსულს, მეორე აწმყოს. ესენი ერთ და იმავე დროს და ერთ და იმავე ალაგას არსებობენ. მათ სიღრმეში ჩანერგილი განხეთქილება დამალულია, თუ ორივეს საქმე კარგად მიდის. როგორცკი ერთი მათგანი წაიბორძიკებს, უჩინარი განხეთქილება აშკარად იფეთქებს და მათ შორის ბრძოლა იწყება. ეს ბრძოლა სხვა-და-სხვა ერში სხვა-და-სხვა სახისაა. გერმანიაში ბრძოლა ასტეხა მეოცე წლების სამეურნეო კრიზისმა. ყველა ზემოთ მოყვანილ მწერლები ამ გარემოების ახალ მიმდინარეობას აბრალებს. ეს მიმდინარეობა როგორც ზედა თავში განვმართეთ ეკონომიური მიმდინარეობაა, აღორძინდა საქონლის წარმოება და დაეცა ძველი ბატონყმური წყობილება. ადამიანს მეტი თავისუფლება მიეცა. ამით აზნაურთა ბატონობას ბოლო მოეღო. აქედან მათი ლტოლვილება შერყეული საძირკვლის გამაგრების და თავიანთი უპირატესობის შერჩენისაკენ, ნაკლები თავისუფლება, ვიწრო სარბიელი, მოქმედების მტკიცე კალაპოტში ჩაყენება—აი მემამულეთა დროშა. აზნაურობის გაღონიერება, მისი უფლება-უპირატესობის გაძლიერება, მისი საკუთრების დაცვა, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა—აი მემამულეთა პოლიტიკა. ხოლო ყველა ამაების გასატარებლად მოწოდებულია მთავრობა. მთავრობა—ისეთი ყოვლად ძლიერია, რომ ცხოვრებას, როგორც უნდა, ისე შეაბრუნებს. მაშ რატომ ცხოვრება იმ წოდების სასარგებლოდ არ შეაბრუნოს, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში პირველობა ეჭირა და რომელიც თვითონ მთავრობის დედა-ბოძს შეადგენს? საჭიროა მხოლოდ თხოვნა, ჩაგონება, გზა-კვლის ჩვენება, რომ ყოველივე აზნაურთა სასარგებლოდ მოეწყოს. აქედან მთავრობის გაძლიერება, მისი გავლენის გაფართოება, მისი ასპარეზის გაგანიერება—აი მეურნეთა მიმართულება.

ამნაირად, ნაკლები თავისუფლება, ნაკლები თაოსნობა, ნაკლები მოძრაობა კერძო პირს, მეტი თავისუფლება, მეტი თაოსნობა, მეტი მოძრაობა მთავრობას—აი რას ნიშნავს კონსერვატიზმი. ეს ინდივიდუალიზმის ძირში მოჭრაა, პირადობის მიწასთან გასწორებაა, ეს ლიბერალიზმის პირ-და-პირი მოწინააღმდეგეა.

როგორც ვხედავთ, მეოცე და მეორმოცე წლებში გერმანიაში დაიბადა ორი ერთი მეორეს მოპირ-დაპირე მოძრაობა: ლიბერალური და კონსერვატიული. პირველის დროშაზე ერთის მხრით სწერია თავისუფლება და მეორის მხრით—წინ! მეორის დროშაზე: ერთის მხრით—ხელფეხის შებოჭვა, მეორის მხრით—უკან! პირველი აღორძინა ქალაქურ ცხოვრებამ, მეორე-კი სოფელმა. პირველის ბუდეა ქალაქი, მეორის სოფელი. სავაჭრო-სამრეწველო პოლიტიკა ლიბერალური პოლიტიკაა, სამეურნეო-სამიწად-მოქმედო პოლიტიკა კონსერვატიული პოლიტიკაა. კაპიტალი და მამული, ვაჭარი და მეურნე, ქალაქი და სოფელი—ეს არის ორი ღრმა მიმდინარეობა ორი ისტორიული ძალა, ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე მოვლენა. ჯერჯერობით ამათი ბრძოლა ეკონომი-

*) იხ. „ივერია“ №№ 73, 74, 78 85, 86 და 90.

გააფართოვონ თვით უსინათლოთა სკოლა და შეიძინონ ყველა უსაჭიროესი საგნები.

*** სასჯულო საქმეთა მინისტრმა მიწერილობა გაუგზავნა ტფილისის სამოსამართლო პალატის ყველა ბრალმდებლებსა და დაავალა დაგვირგვინების დღეს ყველანი უთუოდ თავისს განყოფილებებში იყვნენ, რომ უმოწყალესი მანიფესტი გამოაცხადონ.

*** დროებითი გამგეობა „შუამავლის“ სავაჭრო ამხანაგობისა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ტფილისში აგენტებად დაინიშნა:

1) ილია ალექსის ძე ჯაფარიძე. 2) ვიქტორ დარისპანის ძე მკერვალიშვილი. 3) ანგია პეტრეს ძე ლეჟავა. 4) ნესტორ მერაბის ძე სალაძე. 5) ზაქარია დავითის ძე დომარაძე. და 6) ქ. განჯაში ბ-ნი კალანდაძე.

*** გორი: აპრილის 15-ს, დილით, ყოვლად-უსამღვდელოესი ექსარხოსი ვლადიმირი აქ ჩამოვიდა. მათმა მეუფებამ დათვალიერა გორის სას. სასწავლებელი. ამ სასწავლებლიდამ მათი ყოვლად-უსამღვდელოესობა მიბრძანდა ქალების პროგიმნაზიაში, მოისმინა აქაც გალობა, ბავშვების ცოდნა სამღრთო სჯულისა და ბოლოს წაბრძანდა ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიაში. აქაც დაჰყო რამდენსამე ხანს, დალოცა მოსწავლენი და შემდეგ წაბრძანდა თავისს ბინაზედ. იმავე დღეს სალამოზედ მათი მეუფება დაბრუნდა ტფილისში.

*** კომისია კავკასიის განყოფილების შესადგენად ნიჟნეგოროდის გამოფენაზე აუწყებს ყველას, ვისაცკი სურვილი აქვს ამ გამოფენაში თავისის ნაწარმოებით მონაწილეობა მიიღოს, რომ დროზე შეატყობინონ ეს სამეურნეო საზოგადოების ბიუროს. ექსპონენტები არაფერს არ გადიხდიან გამოფენაზე ადგილის ფასად და მხოლოდ ნაწარმოების გაგზავნასა და განყოფილების მოწყობაში იღებენ მონაწილეობას.

*** სათავად-აზნაურო ბანკის კრების სხდომის მაგიერ გუშინ მოხდა კრება სასკოლო საზოგადოებისა, რომლის ანგარიში ქვევით მოგვყავს. ბანკის კრების სხდომა-კი გადიდვა დღის 12 საათისთვის.

*** ს. კორტანეთი (ბორჯომის საზოგადოება): სოფელ კორტენთს ჩამოუდის ერთი პატარა ხევი. 23 აპრილს ეს ხევი ძალიან მოდიდდა და მოიტაცა სოფლიდამ ერთი ბეღელი პურითა და სიმინდით სავსე და ერთი სასიმინდე (ძარი). რკინის გზის ხიდიც დააზიანა; ამის გამო მიხაილოვიდამ წასული მატარებელი უკან დაბრუნდა; 24 აპრილს დროებითი ხიდი გააკეთეს და სალამოზედ მატარებელი გავიდა.

როგორც ამბობენ, მიზეზი ამ ხევის მოდიდებისა ის არის, რომ სათავეში ამ ხევის კალაპოტში ზვავი ჩამოწოლილა და მდინარე შეუგუბებია; მერე ერთიანად დაძრულა და წამოულეკია ყველაფერი.

## კორესპონდენცია.

—

**გორი.** გორის ქალთა სასწავლებელს მუდამ გულწრფელის თანაგრძნობით ეკიდებოდა ქართველი საზოგადოება. ეს თანაგრძნობა უფრო გაცხოველდა, გაორკეცდა წელს, რადგან მოხსენებული სასწავლებელი მთელის თავისის არსებობის განმავლობაში არსად არ ყოფილა ისეთს სხიფათო მდგომარეობაში ჩავარდნილი, როგორათაც წელსა. ნათქვამია: მეგობარი გაჭირვებაში იცნობებაო... საბედნიეროდ, გორის პროგიმნაზიას სწორედ გაჭირვების დროს გამოუჩნდნენ მრავალი პატიოსანი, გულშემატკივარი მეგობრები. ამ პატივცემულ ხალხთა შორის ერთი უპირველესი ადგილი მუდამ ეჭირა და უჭირავს დღესაც პატივცემულ რევაზ შალვას ძე ერისთავს მთელის თავისის ოჯახით. ამ ოჯახის წევრი ბრძანდება ქ-ნი ელენე ივანეს ასული ერისთავისა, რომლის თაოსნობით 14 ამ აპრილისას გორში, სასარგებლოდ ზემოდ მოხსენებულის საქალო სასწავლებლისა, გაიმართა კონცერტი. დიდი დარბაზი გორის საზოგადო კრებისა ისე აივსო ხალხით, რომ მეტის დატევა თითქმის სრულიად აღარ შეიძლებოდა. ასე გასინჯეთ ტფილისიდამაც-კი მობრძანდნენ იმ სალამოს რამდენიმე პატივსაცემი სტუმარი. სალამომ მხიარულად ჩაიარა: კნეინა გაჩნაძის საუცხოვო ქართულ-რულმა სიმღერებმა, ქ-ნ თულაშვილისა და ელ. ერისთვის ჩინებულმა დაკვრამ როიალზე და სხვათა, რომელნიც ზოგი სკრიპკას უკრავდა, ზოგმაც სცენები და ლექსები წაიკითხეს—ყველა ამან დიდად ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება, რომელმაც გატაცებულის ტაშის კვრით რამდენჯერმე გამოიხმო პატივცემულნი მონაწილენი ამ საქველ-მოქმედო მიზნით გამართულ სალამოსი. შემოსავალი იყო ოც-და-ათ თუმანზედ ცოტა მეტი; გასავალი ავიდა სამ თუმნამდე, საიდამაც თუმან-ნახევრის მარკები დაიხარჯა ბილეთებზე დასაკვრელად, დანარჩენი ოცდა-შვიდი თუმანი გადაეცა პროგიმნაზიის მთავრობას. მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ სალამოს გამართვაში აგრეთვე პატივცემული მიხეილ რევაზის ძე ერისთავი.

ნ—ა.

## ტფილისის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრება.

ოთხშაბათს, 25 აპრილს, გაიხსნა სხდომა ტფილისის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. კრებას თავმჯდომარეობდა კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა. თავმჯდომარეს წინადადებით კრებამ ფეხზედ წამოდგომით პატივი სცა საზოგადოების წევრის განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელს და ერთხმად დასთანხმდა თავმჯდომარისავე წინადადებას იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნეს სტიპენდია ნეტარ-ხსენებულის ეპისკოპოსის სახელობაზედ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში მოსწავლე ღარიბ მოწაფეთათვის.

შემდეგ წაიკითხეს ქალთა სკოლის კომისიის პროექტი, რომლიდამაც სჩანს შემდეგი: სასწავლებელს ექმნება ოთხი განყოფილება მოსამზადებელის კლასსისა და 6 ან 7 გიმნაზიური კლასსი. სასწავლებელში შეასწავლიან შემდეგს საგნებს: ქართულსა და რუსულს ენას, სამღრთო სჯულს, მსოფლიო ისტორიას, ქართულსა და რუსულს ისტორიას; ლიტერატურას მსოფლიოს, ქართულსა და რუსულს; მათემატიკას, გეომეტრიას და პედაგოგიას. საზოგადოდ სასწავლებელში იქმნებიან შემოღებულნი ის საგნები, რომლებსაც ასწავლიან საშუალო სასწავლებლებში. სამეურნეო საგნებს-კი შეასწავლიან ზაფხულობით. ამ სკოლის შესანახავად წელიწადში დასჭირდებათ 35,000 მან., ხოლო არა ეხლავე, არამედ როცა მთელი სასწავლებელი იქმნება დაარსებული, წინ-და-წინ, პირველს წელს-კი, დაახლოვებით 8000 მან.

ამ და სწავლების სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭიროა დაარსდეს მუდმივი ფონდი ამნაირად: 1) ის ფულები, რომელსაც ბანკი გადასდებს ხოლმე საზოგადო საქმეთა დასაკმაყოფილებელ თანხისათვის $\frac{1}{6}$ ნაწილი სამეურნეო თანხისა; 2) ქარვასლისა და სკოლის კომიტეტის მამულების შემოსავალი მიეცეს განმკარგულებელ კომიტეტს, რათა მოიხმაროს, როგორც დაინახავს საჭიროდ ზემოდ მოხსენებულის მიზნისთვის. პროექტის წაკითხვის შემდეგ კამათობა შეიქმნა. მაგრამ, რადგან დიდძალი ხალხი იყო და მცირე ზალა, ამისათვის წევრებმა ითხოვეს, თუ შეიძლებოდეს გადასდევით კრება და თავად-აზნაურობის თეატრში დანიშნეთო, საქმე მეტად მძიმეა და საჭიროა ყოველ მხრივ ავსწონ-დავსწონოთ, გავსინჯოთ და კამათობაში ყველამ მონაწილეობა მიიღოსო. თავმჯდომარე დასთანხმდა და გადასდვა კრება.

26 აპრილის სხდომა.

კრება გაიხსნა $11\frac{1}{2}$ საადზედ. კრებას თავმჯდომარედ იყო ბ. რ. ნ. ყაზიბეგი. ბ. ყაზიბეგმა გაახსენა კრების გუშინდელი გადაწყვეტილება და დაეკითხა, როგორ ინებებთ, კომისიების გადაწყვეტილების შესახებ რა პასუხს მოგვცემთო. კრებამ ერხმად გადასწყვიტა, რომ მოვიწონოთ კომისსიების გარდაწყვეტილება შესახებ ქალთა სკოლის ტიპისა და აგრეთვე შესახებ წყაროებისაო. დაადგინა აგრეთვე, რომ როგორც ქალთა სკოლა, ისე სამეურნეო სკოლა გაიხსნას მაშინ, როცა საკმაო ფონდი ექნება ამისათვის საზოგადოებასაო. თავმჯდომარემ ითხოვა ნება მომეცით ეს გარდაწყვეტილება მოვახსენო ბანკის კრების თავმჯდომარესო. შემდეგ დამტკიცებულ იქმნა ანგარიში, ხარჯთ-აღრიცხვა, გარჩეულ იქმნა რამდენიმე თხოვნა, რომელიც გარდაეცა კომიტეტს განსახილველად. კამათი გამოიწვია მხოლოდ ერთმა თხოვნამ თ. შალიკაშვილისამ. თ. შალიკაშვილი თხოულობდა, მომეცით მეათედი იმ მამულისა, რომელიც ეხლა თქვენს ხელშია და რომელიც ბანკს დარჩა ჩემგანაო. კამათობის შემდეგ კრების უმეტესობამ გარდასცა კომიტეტს განსახილველად ეს თხოვნაც. რადგან რ. ნ. ყაზიბეგი სამსახურსა სტოვებს, ამიტომ თ. ნ. ორბელიანმა და თ. ვლ. მიქელაძემ წინადადება შეიტანეს გულწრფელი მადლობა განუცხადოთ რ. ნ. ყაზბეგს, რომელიც ამდენხანს ერთგულად და დაუღალავად ემსახურებოდა ისეთს ძვირფასს საქმეს, როგორც სკოლის საქმეაო. კრება ამ წინადადებას აღტაცებულ ტაშის ცემით მიეგება. საზოგადოებამ ექ. გაბაშვილის წინადადებით მადლობა გარდაუხადა მთელს კომიტეტსაც.

რ. ნ. ყაზიბეგის ადგილზედ ამოირჩიეს ერთხმად ვ. რ. ყიფიანი.

კრება დაიხურა $1\frac{1}{2}$ საათზედ.

## ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

25 აპრილი.

სხდომა გაიხსნა 10 ს. და 20 წ. ჯერ განაგრძეს რევიზორის სამინისტროს წინაშე მოხსენების კითხვა; შემდეგ წაიკითხეს მინისტრის ქაღალდი. როდესაც ყოველივე დასრულდა, თავმჯდომარე დაეკითხა დამსწრეთ, ვის ნებავს წაკითხულთა შესახებ რაიმე წარმოსთქვასო.

თ. ნ. ორბელიანი. ბ.ბ. მე მაქვს სათხოვარი კრების წინაშე, რომ, გარდა წაკითხულ საბუთებისა, წაკითხულ იქმნას ორი ოქმი, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ აქ გაგონილ საბუთებთან და თუ კრება მოსახერხებლად ვერ დაინახავს წაიკითხოს, მაშინ ვითხოვ მომეცეს ნება ვახსენო

---

ურ ნიადაგზე ხდება. ესენი ყოველ საათში, ყოველ-დღე ყოველ კვირაში—მუდამ და შეუჩერებლივ, ერთმანეთს ეჯახებიან. აქ ის იმარჯვებს, რომლის მხარეზე ისტორიი დგას, ე. ი. რომლის მოქმედება დრო და ჟამს შეჰფერის. ახალი ნივთიერი ურთიერთობა თან-და-თან მძლავრდება და ბოლოს იმ წერტილამდი აღწევს, რომ ძველ პოლიტიკურ კალაპოტში ვეღარ ეტევა და დგება ხანა პოლიტიკური ცვლილების, აი აქ ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი ეკონომიური ნიადაგიდან პოლიტიკურზედაც გადადიან და იბადება მათ შორის პოლიტიკური ბრძოლა. მათ პირველ პოლიტიკურ კონფლიქტს ეწოდება რევოლიუცია. ამ დღიდან ცხოვრების გულში დამალული მღელვარება ამოდის მაღლა, ცხოვრების ზედა-პირზე და ღებულობს პოლიტიკურ ფორმას. პოლიტიკური პარტიების ნამდვილი ისტორია აქედან იწყება.

სანამ ასეთი ცვლილება მოხდებოდეს, მანამდი უნდა აღორძინდეს რამდენიმე ისტორიული პირობები, ესენი შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენენ, არამედ აუცილებელ შედეგთ ახალი მოძრაობისას. ეს დრო არის, ასე ვთქვათ, გადასასვლელი დრო (Uebergangsperiode), ძველი ეკონომიური საფუძველი ახალით იცვლება. ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანაში გადადის. ეს პროცესი იწვევს მწარე ტკივილებს. ხალხი ძველ ცხოვრებას თავს ანებებს, ხოლო ახალს-კი ვერ ითვისებს. ის შუაზეა გაჩერებული. სანამდი ახალ გარემოებას მიეჩვევოდეს, მის თავდაბოლოს შეიგნებდეს, მანამდინ დროს თხოულობს და ამ დროს განმავლობაში ცხოვრება საჭიროა. თუ მეოცე წლებში კეთილშობილი წოდება ჩავარდა გასაჭირში, საიდანაც მერე ვეღარ ამოვიდა, მეორმოცე წლებში გლეხობას და ქალაქის მუშა-ხალხს დაადგა გასაჭირი. ამ დროს გერმანიას ეწვია რამდენიმე მოუსავლობა და ხალხი დიდ კრიზისში ჩაავდო. ცნობილი მსწავლული პროფ. კონრადი ამ გარემოებას ასე ხსნის: მოუსავლობა იყო მთელ ევროპაში, მაგრამ განსაკუთრებითი ზარალი მოიტანა ისეთ ქვეყნებში, სადაც მამული ნამეტანი დაკიწნული და მრეწველობა განუვითარებელი დარჩა. ამიტომ მცირე მესაკუთრეთ საშუალება არ ჰქონდათ რაიმე გარეშე სამუშაო ეშოვათ და ფულის წყარო გაეჩინათ. ასეთი ქვეყანა იყო ირლანდია და სამხრეთ-აღმოსავლეთი გერმანია. ვიურტემბერგის, ბადენის, ჰესენის და სხვა პროვინციების კრიზისის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მიწადმფლობელობა უზომოდ დაწვრილმანდა, მესაკუთრეს საკმაო სამუშაოს და ცუდ წელიწადში საკმაო ცხოვრების სახსარს არ აძლევდა. კართოფილის მოუსავლობას 1847 წ. მიემატა პურის მოუსავლობა, ამას კიდევ ღვინის მოუსავლობა, რამაც მთელი სოფლები გაალარიბა. გაკოტრებულ გლეხთა მიწები მთავრობამ შეისყიდა (რადგანაც კერძო მყიდველნი არ იყვნენ) და ბევრი უმამულოდ დარჩენილნი მთავრობის დახმარებით უცხოეთში გადასახლდენ.[1] ხალხში გაჩნდა შიმშილობა, ეგრედ წოდებული კართოფილის ავადმყოფობა, სიმშილობის ტიფი და სხვა ათასნაირი სენი. სოფლელნი გამოეშურნენ ქალაქებში, მაგრამ აქაური მუშების მდგომარეობაც არა უკეთესი იყო, ვაჭრობა-მრეწველობა შეფერხდა და მუშის დღის ქირაც დავარდა, მრავალი მუშები სრულიად უსაქმოდ დარჩა, მაგ. საქსოვი ქარხნის მუშა ორთა შუა რიცხვით წელიწადში 60 ტალერს იღებდა, აქედან 15 ტალ. სხვა და სხვა გადასახადებში მიდიოდა, დანარჩენი 45 ტალ. ოჯახის შენახვა შეუძლებელი იყო, მით უფრო, რომ ყველაფერი გაძვირდა, და თუ მაინც და მაინც ცოცხლობდენ, სული კიდევ ედგათ, სამაგიეროთ შიმშილობა და ავათმყოფობა გამოულეველი სტუმარი იყო. ამათ სოფლელნიც მიემატენ და დღის ქირა ერთიანად დასცეს. 1844 წ. გახშირდა მუშათა არეულობა, მაშინების დამტვრევა, ფაბრიკების დანგრევა და სხ. 1847 წ. ბერლინში ქუჩებში არეულობა მოხდა, რაც წარმოდგებოდა მხოლოდ იქიდან, რომ ხალხმა არ იცოდა რით გამოკვებულიყო საინტერესოა „ომი კართოფილისთვის“ („Kartoffelkrieg“), რაიცა მდგომარეობდა, იმაში, რომ კართოფილის საწყობებს დაეხვევოდენ და გაძარცვიდენ. ამას ბოლოს სხვა დუქნებიც მიაყოლეს მაგ. საპურე, საწვრილმანო და სხ.

ერთის სიტყვით, სიმშილობა სოფლად, სიმშილობა ქალაქად, ყველგან გაჭირება, ყველგან ჩივილი და გოდება. ყველაფერი შეინძრა, შეირყა, ქვეყანა რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობამ მოიცო. აი ამ გაჭირებულ ხალხს კონსერვატორები უქადაგებდენ ყველაფერი თავისუფლების ბრალიაო, ლიბერალები ეუბნებოდენ ყველაფერი იმის ბრალია, რომ საკმაო თავისუფლება არ გვაქსო. ხალხს, რასაკვირველია, წარსულში არაფერი ჰქონდა საქებარი, გარდა შოლტებისა და ბატონის ბორკილებისა, მომავალზე-კი იმედი მაინც მიეცა, ეგების უკეთესი დღე დაგვიდგესო, ხოლო აწმყო ერთიანად აუტანელი შეიქმნა. ამით მომზადდა ნიადაგი რევოლიუციისა.

ნ. ჟ—ნია.

(დასასრული იქნება).

[1] „Handwörterbush der Staatswissenschaft“ ტომი I სიტყვა »Agrarkisis“. ციფრები, რომელთა წყაროები არ გვიჩვენებია, ამ წიგნებიდან არის ამოღებული.

იგინი და კრებას მივუთითო მათზე. მე არ შევეხები ჯერ მათს შინაარსს და არავითარს განმარტებას მათ შესახებ კრებას არ წარვუდგენ მანამდის, სანამ მათ შესახებ გამგეობა არ წარმოგვიდგენს ამა თუ იმ განმარტებას. პირველი ოქმი, ვგონებ, 13 თებერვალს ამა წლისა არის შემდგარი, რომელშიაც არის გამოხატული აზრი წევრის ზედამხედველის კომიტეტისა თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილისა, რომელიც წარსულს წელს კრების თავმჯდომარედ იყო, იმის შესახებ, რომ უფლებანი ზედამხედველის კომიტეტისა გაფართოვებულ იქმნას და კომიტეტს ნება ჰქონდეს, როცა ამას კანონიერადა და საჭიროდ სცნობს, წევრი დამფასებელის კომისიისა, ანუ გამგეობისა სამსახურიდამ დაითხოვოს; ესე იგი შეიცვალოს ამ სახით § 81 წესდებისა. მეორე ოქმი 1894 წ. 26 მაისს იყო დადგენილი. მასში მოხსენებულია ისეთი ადამიანი, რომელიც პატივცემულია ყველასაგან, რომელსაც, თავ-მოწონებით ვიტყვი, მთელი კრება აფასებს: ნახსენებია მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა. საქმე იმაშია, რომ იმ დღეს აღიძრა კითხვა რაღაც განსამართლებაზე, რომელიც უნდა მომხდარიყო თ. ჭავჭავაძესა და თ. მაჩაბელს შორის. ისე გამწვავდა საქმე, შეიმოსა წყვდიადით, რომ თვითოეულმა თავისებური შთაბეჭდილება გამოიტანა, დაჰსკვნა, რომ ესა და ეს მხარე გაურბის ზნეობისა, სინიდისისა და პატიოსნების კანონს (დრტვინვა და ხმაურობა). მარიამ ვახტანგის ასულის კითხვაზე თ. ანდრონიკაშვილმა განაცხადა, რომ თ. მაჩაბელმა უარი სთქვა სამედიატორო განსამართლებაზედაო. რასაკვირველია, მარიამ ვახტანგის ასულმა, როგორც პატიოსანმა ადამიანმა, გონება დაუმონა გულს და განაცხადა, რომ აწ მე თ. მაჩაბელთან ერთად სამსახურს ვერ ვიკისრებ და უარს ვაცხადებო. აი, ეს ოქმი, მომეცით ნება, რომ წავიკითხო.

თავმჯდ. თ. ორბელიანო, ტყუილად შუამდგომლობთ, მაგის ნებას ვერ მოგცემთ, რადგანაც ეგრე თუ გავყევით კითხვას, მაშინ მთელი არხივი უნდა წავიკითხოთ.

თ. დ. გურამაშვილი. (წევრი ზედამხედველის კომიტეტისა) მე უმორჩილესადა ვსთხოვ თავმჯდომარესა და კრებას, ყველა აღნიშნულ საბუთებთან ერთად წაკითხულ იქმნას ორი, თუ სამი კიდევ სხვა ოქმი 1894 წ., რომელნიც საქმის ჭეშმარიტს ვითარებას გამოაკვლევს და რომელნიც აუცილებლად საჭიროა; თუ, ვინიცობაა, ამათს წაკითხვას არ ინებებენ, მაშინ ვითხოვ მოგვეცეს ნება მსჯელობის დროს მოვახსენო კრებას იგინიც.

გ. ყარანგოზიშვილი. გუშინ-წინდელმა კრებამ გარდასწყვიტა ყოველი ქაღალდი, საბუთი წაგვეკითხა და კიდეც აღვასრულეთ. ამტკიცებდენ და მითქმა-მოთქმა ისეთი იყო, რომ საშინელი ბოროტ-მოქმედებანი აღმოუჩენია რევიზორს ჩვენს ბანკში და მათზე მისი მოხსენება გვითითებსო. ჩვენ ვერაფერი ამგვარი ვერ ვნახეთ, ვერ მოვსძებნეთ ნახსენებ ქაღალდებში. თ. ნ. ორბელიანმა განაცხადა, რომ ჩვენი ბანკი „უბსკრულის პირზედ არისო“. გთხოვ ნაწილ-ნაწილად წაგვიკითხოთ და აგვიხსნათ ყოველივე და გვაჩვენოთ—სად არის ეს ბოროტ-მოქმედებანი და სად არის ეს უბსკრული?

თ. ვლ. მიქელაძე. რასაკვირველია არც მე შევეხები ჯერ ხსენებულ ოქმების შინაარსს, მაგრამ ეს-კი უნდა აღვნიშნოთ, რომ იმდენი სხვა-და-სხვა საგნები, საბუთები წავიკითხეთ, რომ საერთოდ, განუყოფლად მათზე მსჯელობა ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელია. ჩემის ფიქრით ყოველი წაკითხული უნდა ორ-ნაწილად გაიყოს: პირველ ნაწილში უნდა იქმნან მოთავსებულნი ისეთი საბუთები, რომელნიც პირდაპირ საქმეს და მის ვითარებას შეეხებიან და მეორეში მოვათავსოთ შემახებელნი მაჩაბლისა და გამგეობის მოქმედებისა და სიმართლისა. (თავმჯდომარემ ნება მისცა მათ მიუთითონ ხსენებულ ოქმებზე კრებას და აგრეთვე მისცა ნება რა და როგორ ოქმებზე ნებავდეთ, იმაზე ილაპარაკონ, იკითხონ, თუ გინდ მთელი არხივიც გარდაიკითხონ.)

თ. ივ. მაჩაბელი. როცა, ბატონებო, გუშინ-წინ წავიკითხეთ ოქმი შეერთებულის კრებისა, ზედამხედველის კომიტეტისა და გამგეობის წევრთა, თქვენ მოისმინეთ სიტყვა; (ქართულად არ ვიცი როგორ ვსთქვა) нетерпимый, მითომ მე ვიყო нетерпимый, მასთან ისიც მოგახსენესთ, რომ არამც თუ მარტო ხსენებულის ოქმის შავი გადაასწორა და მითია „ნეტერპიმიო“, არამედ ბევრი სხვა საბუთები გვაქვს მაჩაბლის ასეთის მოქმედების დასამტკიცებლად, რომელთაც შემდეგში წარმოვაგენთო. თავმჯდომარემ გამგეობისამ თ. ჭავჭავაძემ ისურვა სხვა-და-სხვა ოქმების წაკითხვა, თ. გურამოვიც ამგვარისავე თხოვნით მოიქცა თქვენდამი. მესმის, ბატონებო, მესმის რისათვის თხოულობენ ამას. ნუ იფიქრებთ, რომ რაკი მე ამაებზე ხმას არ ვიღებ ვითომც მეშინოდეს ამ ოქმების წაკითხვისა. პირიქით მეც თვითონ მსურს, რომ წაიკითხონ. აქ არის ლაპარაკი სვინიდისზე, პატიოსნებაზე იმ პირისა, რომელიც თქვენ ამოირჩიეთ და განუცხადეთ სრული ნდობა ჩემზე. ყოველივე მოისმინეთ, გაიგეთ, გამოირკვიეთ. მე ჩემს დღეში ჩემი თავი არ აღმიარებია შეუმცდარად, პირიქით ყოველს ჩემს შეცდომას საყოველთაოდ და გულწრფელად ვაღვიარებ ხოლმე. ვუერთდები ყველა მათ, ვისაც ჰსურს ყოველივე ნათლად აუხსნას და გააგებინოს კრებას.

თავმჯდ. მე უმორჩილესადა გთხოვთ ტაშს ნუ უკრავთ; ჩვენ, მართალია, აქ თეატრის დარბაზში ვართ თავშეყრილნი, მაგრამ წარმოდგენა მაინც არ არის. (სხდომა შეწყდა).

თავმჯდ. (სხდომის გახსნის შემდეგ). ზ. ჩოლაყაშვილო თქვენ გეკუთვნისთ სიტყვა.

თ. ნ. თ. ჩოლაყაშვილი. მე რომ თავიდამ დავიწყო, არ გამოვა ისე, როგორც მე მინდა; ამისათვის უნდა ბოლოდამ დავიწყო (სიცილი.) ბოლო იყო მინისტრის ბრძანება. თუმცა იმაში ნათქვამია, რასაც კრება ინებებსო, იმაში მაგრამ ორიოდე სიტყვას თუ ვიტყვით მის შესახებ, თორემ სხვა ვერარას; ჩვენ არ შეგვიძლია ვუთხრათ მინისტრს, რომ ესა და ეს ნაკლულევანება აქვს შენს ქაღალდსო. ვერც ვერაფერს რევიზორს ვეტყვით... იმ კაცს უშრომნია, გარეშე კაცს, და ათასში ასი მართალი მაინც უთქვამს და რაც შეუნიშნავს უკანონობა—გამოუგზავნია. მოდი ერთი ჩემის თხოვნით იმას მადლობა ვუთხრათ, აქედამ შევუდგეთ, ახლა-კი თავიდამ დავიწყებ. იქიდამ დავიწყებ, რომ ჩვენი თავი უნდა ვიტიროთ, თუ საქმე ასეთის არეულობისა გამო? ერთი კაცი ცამეტს ვერ დაუმონებია ცამეტი—ერთისათვის ვერ შეგვითვისებია,..რა მოხდა ასეთი დაუსრულებელი? მაგრამ რუსული ანდაზასი არ იყოს „Самолюбіе“ გვღუპავს... სამი კაცი ავირჩიოთ; ერთი ჩვენ, თითოთითო იმათმა და რაც იმ სამმა კაცმა მოგახსენოთ ხვალ დილამდის, ის იყოს განაჩენად. თორემ ასე იყოს: ხვალდა ზეგ ვირჩევთ იმ კაცს; თუ გათეთრდა მართალი ყოფილა და თუ გაშავდა—მტყუანი. შოთა რუსთაველი და ნაპოლეონ პირველი შესცდა და ამათ როგორ არ მოუვათ რაიმე შეცდომა, მაგრამ ეს მომაკვდინებელ ცოდვად არ უნდა ჩავსთვალოთ. (ხმაურობაა).

თავმჯდ. ბატონებო, მივმართავ თქვენს რაინდულ გრძნობას და გთხოვთ ღირსებით დაიცვათ წეს-რიგი (სხდომა შეწყდა).

თავმჯდ. (სხდომის დაწყების შემდეგ), გამგეობავ! თქვენი რიგია; რა გნებავსთ სთქვათ?

თ. ილ. ჭავჭავაძე. რაზედ ვილაპარაკოთ? ჯერ აღნიშნეთ საბაასო საგანი და მერე მოვახსენებთ კრებას, რაცა გვსურს.

თავმჯდ. რა საგანი უნდა აღვნიშნო? თქვენ უნდა ილაპარაკოთ აქ წაკითხულ საბუთების შესახებ.

თ. ილ. ჭავჭავაძე. აქ სამი საბაასო საგანია, სულ სხვა და სხვა გვარი; მინისტრის ქაღალდი, რევიზორის მოხსენება და მოხსენება თ. მაჩაბლის და მის საპასუხოდ დაწერილი გამგეობის მოხსენება.

თავმჯდომარე. რაზედაც გნებავთ, იმაზე ილაპარაკეთ.

თ. დ. ავალიშვილმა დაახლოვებით შემდეგი სთქვა: რადგანაც მასალა, რომელიც კრებასა აქვს განსახილველად, სხვა-და-სხვა გვარია და რთული, ამისათვის მივსცემ ჩემს თავს ნებას ავუხსნა კრებას—რა გზას დავადგები საბუთების განხილვის დროს; მით უმეტეს, რომ ყოველს საბუთს აქვს თავისი მნიშვნელობა და საგანი. რევიზორის ქაღალდში ბევრი რამ არის აღნიშნული, მაგრამ ყველა მათგანი არამც თუ არ უნდა აღსრულდეს, არამედ თვით მინისტრსაც-კი არ მიუქცევია ყველა მათთვის ყურადღება. აქ წაიკითხეს მინისტრის ქაღალდი, რომელიც, როგორც ეტყობა გარეგნობით, სავალდებულოა, მხოლოდ ერთი მისი ნაწილი და მეორე ნაწილი-კი მოითხოვს განსჯასა და მიღებას სახელმძღვანელოდ საზოგადო კრებისაგან. რაიცა შეეხება რევიზორის ანგარიშს—იგი ჩვენთვის სავალდებულო არ არის, მხოლოდ, როგორც მასალა, შეიძლება ჩავსთვალოთ განსჯისა და განხილვის საგნად ამა თუ იმ შემთხვევაში.

(კეზელი ხმაურობს). ზ. კეზელო, ტყუილად ცდილობთ, ვერ შემიშლით, ვერ გადამაცდენთ...

დ. კეზელი. რაზედ უნდა გარდაგაცდინოთ, როდესაც თქვენ არავითარი ნიადაგი არა გაქვთ.

თავმჯდომარე. ბატონებო, ნუ ჰკარგავთ მოთმინებას.

თ. დ. ავალიშვილი. მოთმინებას მე-კი არ ვკარგავ, არამედ ზ. კეზელი. მეორე შემთხვევაში რომ კიდევ ასეთის... (საშინელი ხმაურობა და თავმჯდომარის ზარი—აღარა ისმის რა).

თ. დ. ავალიშვილი. ჩემის აზრით განსჯა იმ საგნებისა, რომელთაც მინისტრის ქაღალდი ეხება, უნდა იმ რიგითა და წესით მოხდეს, რა რიგითა და წესით იგინი წაკითხულ იქმნა. უმთავრესნი საგნები (ხმაურობაა. თ. ავალიშვილი თავს ანებებს ლაპარაკს).

თავმჯდ. თ. ავალიშვილო, აღარ გსურთ ილაპარაკოთ?

თ. ავალიშვილი. მე ვხედავ, რომ კრებას არ უნდა რაიმე გამორკვეულ აზრს მიაღწიოს (უნდა წასვლა).

თავმჯდ. მე მოგეცით სიტყვა და მას ვერავინ ვერ წაგართმევსთ.

თ. ავალიშვილი. მე შევეხები უმთავრეს კითხვას, რომელსაც ეხება რევიზორი. აქ ზ. ავალიშვილი შეეხო კითხვას, რომელიც სამინისტროს ქაღალდშია მოყვანილი, შეეხო გადაგირავებასა და დამატებითი სესხის მიღებას და ვრცელის სიტყვით დაასაბუთა მათი განსხვავება, რის დასამტკიცებლადაც მოიყვანა § 32 წესდებისა.

მეორედ შეეხო მამულების დაზღვევას და მინისტრის ქაღალდის წინააღმდეგ ამტკიცებდა, რომ ყოველი მსესხებელი იმ უფლებით არის აღჭურვილი, რომ სანამდის სესხის რაოდენობა არ იქნება გარდაწყვეტილი, მანამდის იმას საბუთი არა აქვს დაზღოს თვისი მამული, რადგან წესდებით დაზღვევის თანხის რაოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები იმა თანხაზე, რომელიც მას სესხად ეძლევა. აი, რა მიზეზითაც, სთქვა მან, მსესხებელს შეუძლია უცადოს სესხის რაოდენობის გამორკვევას. რაც შეეხება იმ საყვედურს, რომ გამგეობა ჯეროვანად ვერ ადევნებს თვალ-ყურს დამფასებელთ, დამფასებელნი, ჩვენის წესდების ძალით, არ ექვემდებარებიან გამგეობას და ამისათვის გამგეობა ვერც გაერევა მათს საქმეში დაფასების დროს; წესდების ყოველის დარღვევისათვის უბრალო და საზარალო დაფასებით პასუხი თვით დამფასებელთ მოეთხოვებათ. დაბოლოს შეეხო გირავნობის ფურცლების ხელად მიუცემლობას და ამის წინააღმდეგ კრებას მიუთითა იმა მოსაზრებასა და საბუთებზე, რომელიც გამგეობამ გამოსთქვა და მოასმინა კრებას ცალკე მოხსენებით ამ საგნების შესახებ გარდა ამისა სთქვა, რომ თუ ეს გირავნობის ფურცლების მიუცემლობა უკანონოდ ცნობილი ყოფილიყო ბ-ნ მინისტრისაგან, უსათუოდ ბ-ნი მინისტრი ამას იტყოდა თავისს ქაღალდში. საცა ბ-ნმა მინისტრმა ყურადღება მიაქცია იმისთანა ამბებს, რომ ქაღალდები საქმეებში რიგიანად ჩაკერებული არ არისო, ნუ თუ ამისთანა მძიმე საქმეს, როგორიც გირავნობის ფურცლის საქმეა, ყურადღებას არ მიაქცევდა და არ გვეტყოდა ეგ უკანონოა და ნუ იქთ კვლავ მაგასაო. მაგრამ ვხედავთ, რომ მინისტრს აქ არავითარი უკანონობა არ დაუნახავს და საჭიროდ არ უცვნია ამისათვის ყურადღება მიექცია.

სიგვიანის გამო, გუშინ დილის 10 საათამდის სხდომა გარდაიდევა.

რევიზიის უმთავრესს შენიშვნათა და დასკვნათ შემდეგს ნომერში განვუზიარებთ ჩვენს მკითხველებს.

გრ. აბაშიძე.

---

# უცხოეთი

—

**სპარსეთი.** „სტანდარდის“ ვენის კორესპოდენტი დარწმუნებით ამბობს, რომ სპარსეთის შაჰის მოკვლა იმის გამო მოხდა, რომ შაჰი აპირებდა სულთანთან დაახლოვებას. სულთანი-კი სცდილობს მოარიგოს მაჰმადიანთა ორი ბანაკი სუნიტები და შიიტები.

**ინგლისი.** ჟურნალ-გაზეთები ამბობენ, რომ კონსერვატიულს სამინისტროში ცვლილება მოხდება. რამდენიმე თვის წინად ამბობდნენ, რომ მარკიზ სოლსბერის აღარ შეუძლიაო სამსახურის გაგრძელება და მძიმე მოვალეობას ველარ იტვირთებსო. ეხლა ეს ხმები ისევ გავრცელდა. მთავარ მინისტრი წავიდა ევროპის ხმელეთზე საექიმოდ და ინგლისში დაბრუნებულა, მაგრამ ექიმობას ვერა უშველია-რა. „სპიკერი“ დარწმუნებით ამბობს, პარლამენტის გამოჩენილი მოღვაწისაგან ვიცით, რომ სოლსბერი სამსახურს თავს დაანებებს სულ მალეო. ლიბერალური გაზეთის სიტყვით სოლსბერის ადგილს დაიჭერს ბალფური, რომელიც მიიღებს პერობას და ლორდთა პარლამენტში იქმნება დანიშნული. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულ იქმნება ჰერცოგი დევონშირისა და დეპუტატთა პარლამენტის ლიდერად ჩემბერლენი. შესაძლებელიაო, დასძენს „სპიკერი“, რომ სხვანაირი ცვლილება მოხდესო. გარდა ამისა ერთი გაზეთი ამბობს, რომ ირლანდიის სეკრეტარი ჯერალდ ბალფური თავს ანებებს სამსახურს ავადმყოფობის გამოო.

**საფრანგეთი.** ფორს, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, არა თუ რადიკალთა გაზეთები ემტერებიან, ოპორტუნისტებიცა ჰკიცხავენ. მეტად ცხარედ ეკიდება „ფიგარო“. ფორმა ვერ გამოსთქვა გარდაწყვეტილად, რა აზრის არის ოპორტუნისტთა სამინისტროს შესახებაო. მას უნდოდა „შეთანხმების“ სამინისტრო შეედგინა და ამიტომ მოიწვია სარრიენი. როცა სარრიენმა უარი უთხრა, მელინსა სთხოვა სამინისტროს შედგენა და თანაც დასძინა—შენ ის უნდა შეასრულო, რაც სარრიენმა ვერ შესძლოო, ე. ი. „შეთანხმების“ სამინისტროს შედგენა. გავს, ფორს უნდა რადიკალთა და სოციალისტთა გული მოიგოს და თავის ამომრჩეველთ-კი უღალატაო. მელინმა რომ ოპორტუნისტთა სამინისტროს შედგენა დააპირა, კინაღამ რესპუბლიკის ღალატი დასწამა და მოსთხოვა „შეთანხმების“ სამინისტრო. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ამ სამინისტროში ურევია ისეთი მომხრე ბურჟუას სამინისტროსი, როგორიც რამბოა, დარლანი, ვალე, ერთგული მონა ბურჟუასი და ლაკომბი ერთი არწივთაგანი რადიკალთა მემარცხენეთა.

---

## ნასრედინი, სპარსეთის შაჰი.

ნასრედინი იყო უფროსი შვილი მეჰმედ შაჰისა, დაიბადა 1830-ში. მამის სიკვდილის შემდეგ 1848 წ. იგი ავიდა ტახტზედ, თუმცა ტახტის დაკავებისათვის იარაღის ხმარება დასჭირდა. ყმაწვილობაში ნასრედინი მამას არ უყვარდა, იგი სცხოვრებდა

სასახლის გარედ თავრიზში, მისი უმცროსი ძმა იყო მამის საყვარელი შვილი. თავრიზში მრავალი გაჭირვება გამოიარა მან. ტახტზედ ასვლის შემდეგ ორმოც-და-ათიანს წლებში განიზრახა ევროპაში მიმოგზაურობა, მაგრამ მხოლოდ 1873 წ. მიაღწია თავისს სურვილს. სპარსელებს ეგონათ, რომ ამ მოგზაურობის შემდეგ შაჰი ევროპიულს ცვლილებებს შემოიტანს თავისს ქვეყანაში, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, ამ მოგზაურობას მის მმართველობაზედ გავლენა არა ჰქონია. მხოლოდ უცხოეთის ელჩებთან დამოკიდებულება შესცვალა ევროპიულს წესზედ. მეორეჯერ შაჰი გაემგზავრა ევროპაში 1877-ში, იყო რუსეთში, საფრანგეთში, ინგლისში და ავსტრიაში; ამ მოგზაურობამ დიპლომატიური კავშირი სპარსეთისა ევროპის სახელმწიფოებთან განამტკიცა. 1889-ში ნასრედინი მესამეჯერ გაემგზავრა ევროპაში. ყველგან კარგად მიიღეს, მაგრამ ინგლისში მაინც დიდად იდღესასწაულეს მისი მისვლა.

ნასრედინის მეფობის დროს გაუმჯობესდა გზები, ფოსტის წესები შეიცვალა, ჯარების მოწყობა ევროპიულს წესზედ დააყენეს, შემოღებულ იქმნა საყოველთაო სამხედრო ბეგარა და გაუმჯობესდა ქონებრივი მდგომარეობა ერისა. ხშირად სპარსეთის გამო ინგლისისა და რუსეთის ინტერესები შეიტაკნენ და ეს შეტაკება იმითი თავდებოდა, რომ ევროპის გავლენა სპარსეთზედ დღითი დღე იზრდებოდა. ნასრედინს დარჩა ექვსი ვაჟიშვილი და 13 ქალიშვილი. უფროსი შვილები ჩვეულებრივ მონაწილეობას იღებდნენ მმართველობაში. ყველაზედ ცნობილი მათგან არის ისპაჰანის „გუბერნატორი მასსუდ მირზა, რომელსაც უწოდებენ ზელე-სულთანს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპარსეთის მართვა-გამგეობაში. 1888-ში ზელე-სულთანი სრულის უფლებით განაგებდა რვა ოლქს სპარსეთისას, მან დაიმსახურა სახელი ნიჭიერის ადმინისტრატორისა და სარდლისა. ევროპისა და განსაკუთრებით ინგლისის გავლენის დიდი მომხრე იყო. ზელე-სულთანის ენერგიასა და სახელს მამა მისმა ეჭვის თვალით დაუწყო ყურება, მერე კიდევ ნასრედინს უნდოდა ტახტი დაეტოვებინა მუზაფარ ედინისათვის, რომელიც თავრიზში იმყოფებოდა გუბერნატორად. მესამე შვილმა შაჰისამ კამრან-მირზამ, სატახტო ქალაქის გუბერნატორმა, ვერ გამოიჩინა საჭირო ნიჭი, მართვა-გამგეობა მიანდო ვეზირ-ნეზამს (წეს-რიგის მინისტრს), რომელზედაც სპარსეთში ამბობდნენ, რომ ხალხის ძარცვა-გლეჯა იჯარით გასცაო. როგორც დეპეშებიდამ სჩანს თეირანის შაჰად აღიარებულ იქმნა მუზაფარედინი და ხალხსაც არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუცხადებია ამის გამო.

## ახალი სამინისტრო საფრანგეთში.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ახალი სამინისტრო მეტად ხან მოკლე იქნება, მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ მინისტრებს და მოკლე ბიოგრაფია, რომ იცოდნენ რა კაცებს ჩაუვარდათ ხელში მთავრობა დღეს. მთავარ-მინისტრი ფელიქს—ჟიულ მელინი დაიბადა 20 მაისს 1838 წ. ასე, რომ ეხლა 58 წლის არის. წინაპირველად იგი უკიდურეს რადიკალად ითვლებოდა. სწორედ ამის მიზეზით ამოირჩიეს 1871-ში კომუნის წევრად, მაგრამ მან უარი სთქვა. 1872-ში არჩეულ იქმნა დეპუტატად მონარქიული კანდიტატის წინააღმდეგ. 1877-ში იგი იმ 363 დეპუტატებში ერია, რომლებმაც მაკმაჰონი იძულებული ჰყვეს რესპუბლიკის პრეზიდენტობაზედ უარი ეთქვა. გრევის დროს მან დაიჭირა პროტექციონურის სისტემის მომხრეობა. ამით მელინმა მრავალი მომხრე იშოვა, რადგან პროტექციონიზმს ბევრი მომხრე ჰყავს საფრანგეთში პარტიის განურჩევლად. 1888 წ. იგი არჩეულ იქმნა პარლამენტის პრეზიდენტად. ეხლანდელს სამინისტროში ყველაზედ უფრო შესანიშნავია ჰანოტო, რომელიც გარეშე საქმეთა მინისტრად არის ეხლა და უწინაც იყო დიუპუისა და რიბოს სამინისტროში. მის დროს გამოირკვა საფრანგეთისა და რუსეთის კავშირი და მოხდა პირველი ხელშეკრულობა მადაგასკართან. ჰანოტოს დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, როგორც გამჭრიახესა და ხერხიანს დიპლომატს, მისი პარლამენტარული მოღვაწეობა იწყება 1886-დამ.

შინაგან საქმეთა მინისტრი ბარტუ ჰანოტოზე უმცროსია, სულ 34 წლის არის. ესეც იყო მინისტრად დიუპუის სამინისტროში. იგი აირჩიეს დეპუტატად 1889-ში და მას მერე ცნობილია როგორც ორატორი და დაუცხრომელი მტერი რადიკალთა. სამხედრო მინისტრი ბილიო სენატორია და ამავე ადგილზედ იყო მოწოდებული ფრეისინესა და დიუკლერკის (1882 წ.) სამინისტროში. 1828-ში დაიბადა. იგი ცნობილია როგორც ბრწყინვალე მეომარი და თანაც ფრიად ნასწავლი და განვითარებული გენერალი. ბილიომ არა ერთხელ გამოიჩინა გმირობა 1870—71 წლ. ომებში. ბილიო გულ-წრფელია, ერთგულია რესპუბლიკის და ყოველს ღონესა ხმარობდა 1875 წ., რომ მონარქიის მოტრფიალესათვის ხელი შეეშალა მათი სურვილის ასასრულებლად.

სახალხო განათლების მინისტრი რამბო, ცნობილი ისტორიკოსი და პროფესორი, სორბონაში დაიბადა 1842-ში. რამბოს მრავალი ისტორიული თხზულება აქვს დაწერილი. პარლამენტარული მისი მოღვაწეობა დაიწყო რამოდენიმე კვირის წინად, როცა იგი სენატორად იქმნა არჩეული. მისი დანიშვნა ამ სამინისტროში გაუგებარია, რადგან იგი რადიკალთა სამინისტროს აძლევდა მხარს უკანასკნელს შემთხვევებში.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი მისცეთ ამ წერილს, რომლითაც მეჯვრისხევის წიგნთ საცავ-სამკითხველოს მმართველობის წევრნი უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ: 1, სამკითხველოს გამგეს ეკატერინე გიორგის ასულს კნ. ერისთავისას, 2, ალექსანდრა დავითის ასულს კნ. ერისთავისას, 3, თავ. სანდრო ერისთავს, 4, დიმიტრი ივანეს ძე ბ. კორინთელს, 5, ნიკოლოზ ანტონის ძე ხახუტაშვილს, 6, კოსტანტინე ვასილის ძე მირონოვს, 7, თეოფილე იოსების ძე კანდელაკსა და 8, ნიკოლოზ ვასილის ძე ლოლაძეს, რომელთაც სამკითხველოს შემოსწირეს შემდეგი წიგნები:

პირველმა წიგნთ-საცავის დაარსებისათანავე: 1894 და 1896 წ.წ. ჟურნალი „მოამბე“, სხვა-და-სხვა წლების ჟურნალ „ცისკარი“-ს 9 წიგნი, ბავშვების მოვლა კომბისა, საქართველოს ისტორია ჯანაშვილისა, სიბრძნე სიცრუისა, ლუკა პურის ამბავი, დრამა-კომედიები გუნიასი, თხზ. გ. წერეთლისა I ტ., თხზ. აკაკისა I და II ტ., თხზ. ი. ჭავჭავაძისა I და II ტ., ვაიჭკუისაგან, ჩუბინოვის ქრისტომატია, წყობილ სიტყვაობა, ქრისტინე, ცრემლები დ. მეგრელისა, სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ მისივე, პირველი ტალღები მისივე, ვისრამიანი, ვ. ორბელიანის ლექსები, მ. გურიელის მიერ ნათარგმნი დემონი, ჭაერი და სითბო, მ. გურიელის პოეტი და ჩვენება, გურგენ რაინდი, 12 номеровъ сборниковъ „нивы“, 24№ приложеніе къ „нивѣ“ за 1894 и 1895 г.г., сборникъ „нивы“ за 1893 г. „нива“ съ приложеніями за 1895г., სულ 40 ტომი, ღირებული 65 მან. და 40 კაპ. მეორემ: პუშკინის თხზულებანი 15 წიგნი, და ლერმონტოვის თხზულებანი ამდენივე; მესამემ: სიბრძნე სიცრუისა, ვეფხის ტყაოსანი და ჭამლეტი; მეოთხემ: 1893 წლის ჟურნალი „Родина“ და 45 წიგნი ჟურნალის დამატება—6 მან.; მეხუთემ: Недоросль, Горе отъ ума, დედაშვილის თავ-გადასავალი, ღამის მეხრე ცეცხლო და უმანკო პატარძალი; მეექვსემ: Басни крылова და Горе отъ ума; მეშვიდემ: ლერმონტოვის თხზულებანი, სამი კომედია ცაგარლისა, მმური სიტყვა, ნიკოლა ცრანი და მანანა და მერვემ „ცდა“ I ტომი.

დღეს სამკითხველოს სხვა-და-სხვა პირთაგან შემოწირული წიგნები აქვს: ქართული სახელწოდებისა 85 და რუსულისა 22 და მოსდის ოთხი ქართული და სამი რუსული ჟურნალ-გაზეთები.

ერთი წევრთაგანი.

14 აპრილი.

## შემოწირულება.

—

გორის მაზრასა და ქუთაისის გუბერნიაში 189⁵/₆ წელს წყალდიდობის დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოსწირეს:

ვასილი გერასიმეს ძე ბერელაშვილმა 10 მან., სოლომონ გ. გაბაევმა 10 მან., ადამ ზურაბის ძე ბერელაშვილმა 5 მან., თავ. იოსებ პაატას ძე ნიჟარაძემ 3 მან., მინასბეგოვმა 3 მან., დავით ექვთიმეს ძე ბოძიევმა, მიხეილ ბეჟანის ძე ნიკოლოვმა, დიმიტრი დავითის ძე ჯმუხაძემ, გიორგი დავითის ძე ჯმუხაძემ, გიორგი ლაზაროვმა, სოსო ივანეს ძე გოგინოვმა, მიხეილ ნიკოლოზის ძე ბეჟანიშვილმა, მიხეილ ივანოვმა, ივანე ნიკოლოზის ძე კვეზერელი-კოპაძემ, დავით იაკობის ძე დუჩიძემ, ალექსანდრე იოსების ძე ბერელაშვილმა ორ-ორი მანეთი, ვასილი მაჯგალაძემ, აბრამ ნაცვლიშვილმა, იოსებ პავლეს ძე ულანცევმა, ალექსი დავითის ძე ტუშურიანცმა, ივანე ნიკოლოზის ძე სვანიძემ, გიორგი მსხრიკაძემ, არტემ მარტიევმა, არტემ ლათაინოვმა, ნიკოლოზ შუაქრიშვილმა, გიორგი ხუციშვილმა, ივანე გრიგოლის ძე შალამოვმა, მელქო არისტაკოვმა, სარქის სოსიევმა, ანტონ თეოდორეს ძე კანტიძემ, ერასტი ჯაფარიძემ, სიმონ ფანიაშვილმა, მიხეილ გძელიშვილმა, ივანე გეგელაშვილმა, ალექსანდრე ელიაზაროვმა, მიხეილ მესხიმ, არტემ შარუევმა, ვასილი ბატაშვილმა, არტემ ალიხანოვმა, გეურქ მირზოევმა, სვიმონ ილარიონის ძე ფორაქაშვილმა, პლატონ ავთანდილის ძე ბურდულმა, არტემ დანიელის ძე ბურთოვმა, მელქო სიმონის ძე გველესიანმა, არტემ ასრატოვმა, ლევან ზირაქაშვილმა, პავლე იეგორკინმა, ბალდასაროვმა, არტემ ზახაროვმა, ბუღდან ყაზაროვმა, მელქო აკოფოვმა, სიმონ გუდიაშვილმა, იოსებ სულთანოვმა, ავაქ აბალოვმა, ზაქარია დიმიტრის ძე ჩიქოვანმა, № №, გრიგოლ ანდრიას ძე პაპოვმა, ნიკოლოზ იაგორის ძე მისკინოვმა, ბადალ ნიკიტას ძე ულიბეგოვმა, ზაქარია ცომაიამ, ივანე კირაკოზოვმა, პარმენ გიორგის ძე გიორგაძემ, ილია გიორგის ძე გიორგაძემ, სპირიდონ პაიჭაძემ, სოლომონ ოქრომჭედლიშვილმა თითო მანეთი. არჩილ ალექსანდრეს ძე შვედოვმა, ისააკ თეთრაძემ, არტემ გევონდოვმა, ილია ივანეს ძე პაატოვმა ათ-ათი შაური. გეურქ ბადინაროვმა 40 კაპ., ამირან ვაშაძემ 40 კაპ., პეტრე ბუჩუკურმა 30 კაპ., ალექსანდრე კირაკოზოვმა 1 მ. 20 კ., ნიკოლოზ კეხსავაძემ 20 კ. და სულ 106 მან. 50 კ.

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 აპრილი.

**ოდესა.** 24 აპრილს დაბრუნდნენ ალექსანდრიიდამ და მიდიან პეტერბურგს დანი „წითელის ჯვრისა“ და 5 სანიტარი იმ რაზმიდამ, რომელიც აბაშეთში გაემგზავრა.

**ბუქარესტი.** 23 აპრილს აქაურმა სტუდენტებმა მანიფესტაცია მოახდინეს უნგრეთისაგან ათასის წლის იუბილეს დღესასწაულობის წინააღმდეგ. შეიკრიბნენ და დაიარეს ბუქარესტი, წინ მუსიკა მიუძღოდა, რომელიც საეროვნო სიმღერებს უკრავდა. 40,000 სხვა პირი შეუერთდა მანიფესტანტებს. სრული წეს-რიგია დაცული.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ატყობინებენ, რომ პარასკევს ინგლისის ბანკში ჩინეთის მთავრობის ბრძანებით შეტანილ იქმნება იაპონიის სახელზედ 4 მილ. გირვანქა სტერლინგი.

26 აპრილი.

**ბერლინი-** გერმანიის-აზიის ბანკმა გადაუხადა ჩინეთის მაგიერ იაპონიის აქაურ 84 მილ. მარკა.

**რომი.** კარდინალი გალიმბერტა გარდაიცვალა 25 აპრილს.

**მასსოვა.** ოსმან დიგმა ადარამშია. რას სებატმა ადიგრატისაკენ დაიწია რას-მანგაშა მიდის ხახუზენისაკენ. რას-ალულა წავიდა ადუიდამ ორის საათის სავალზე აქ ქალაქიდამ.

**ბელგრადი.** 25 აპრილს აქ მოვიდა მთავარი ბულგარიისა. ხვალ თავადი სოფიაში მიდის.

**კონსტანტინეპოლი.** რუსეთის ელჩი მიიღო სულთანმა 25 აპრილს. ხვალ მიდის ოდესსაში. ამ დღესვე მიდის ოდესსაში სხვა და სხვა დეპუტაცია ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინებაზედ დასასწრებლად.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ ის აზრი გაჰყავს, რადგანაც რუსეთის პოლიტიკა დიდს სიცხოვლეს იჩენს ჩრდილოეთ სპარსეთშიო, ამიტომ მიუცილებლად საჭიროა, ინგლისმა, რომელსაც სამხრეთ სპარსეთში აქვს უპირატესობა, გაიმაგროს ეს თავისი მდგომარეობა. ამისათვის საჭიროაო, ამბობს გაზეთი, რომ ბელუჯისტანში შესვლა თავისუფლად შეიძლებოდეს, როგორც სტრატეგიულის, ისე სავაჭრო აზრით.


# განცხადებანი

დაიბეჭდა ახალი წიგნი

## შოთა რუსთაველი

შედგენილი მ. ჯანაშვილის მიერ.

განყოფილება პირველი. ა) შოთა რუსთაველი: რუსთაველის წინა დროის მწერლობა.—ცნობანი რუსთაველის ცხოვრების შესახებ.—როგორ უყურებდნენ რუსთაველის ქმნილებას ძველი დროის მწერლები.—რუსთველის ლექსთა წყობა.—როგორ ესმისთ შაირობა რუსთაველსა და მის დროის მწერლებს.—რუსთაველის გმირები, მისი რომანი, რუსთაველის გულკეთილობა და დიდბუნებოვანება.—ვეფხის-ტყაოსნის ბეჭდვისა და მეცნიერულად შესწავლის ისტორია (მეფე არჩილი, მეფე ვახტანგ VI.—დავით ჩუბინაშვილი.—ილია ჭავჭავაძე.—ბარონ სუტნერი.—მარი ბროსე.—დიმ. ბაქრაძე.—აკაკი წერეთელი.—მურავიოვი.—ნ. გულაკი.—ალ. ხახანაშვილი.—ვაჟა-ფშაველა.—ნიკო მარრი—ნიკო ნიკოლაძე.—ალ. ნანეიშვილი.—დიმ. ყიფიანი.—ჩვენი მოსაზრება.—გრ. ორბელიანი.—გიორგი წერეთელი.—ვახტ. ორბელიანი.—პლატ. იოსელიანი.—ალ. ცაგარელი.—ნ. დ.—ეგ. იოსელიანი.—ლეისტი, ბარტდინსკი, პოლონსკი, მურიე, სტალინსკი, რენანი, უორდროპი); ბ) რუსთაველის სურათზე. განყოფილება მეორე. ვეფხის ტყაოსნის თხრობა. განყოფილება მესამე. ცხოვრება და ბუნება რუსთაველის შეხედულობით: ა) ღმერთი, ბ) თამარ დედოფალი, გ) რუსთველის ლოცვა, დ) სიმუხთლე სოფლისა, ე) სიკვდილი, ვ) კაცო, ძალსა ნუ იქადი, ზ) ქორწილი, ჱ) რუსთაველის იგავ-არაკნი, თ) შაირობა და მგოსნობა, ი) რუსთველის სიბრძნენი და თქმულობანი (სულ რიცხვით 251).

გამოცემა 183 გვერდია, შემკულია სამის სახითა (შოთასი, თამარ დედოფლისა და ტბეთის ეპისკოპოსის წმ. იოანესი და ორის ნახატით „რუსთაველის სურათზე“ და თამარ დედოფალი ციხის ძირს და ღირს 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

ახალი წიგნი

## მოწაფის დღიური

თხზულება

ედმონდ დე-ამიჩისა.

ნათარგმნი ი. ცისკარაშვილის მიერ.

გამოცემული

ნინო ცისკარაშვილისაგან.

წიგნი ღირს ოთხ აბაზად და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.




(50—505—3)